თვითშეფასების კვლევა ქართველ ბავშვებში

თამარ ფაცაცია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კლინიკური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნატა მეფარიშვილი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,ილიას უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

აბსტრაქტი

მოცემული კვლევის მიზანია თვითშეფასების კვლევა ქართველ ბავშვებში. კვლევა ჩატარდა თბილისის საჯარო სკოლებში. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 100-მა მოსწავლემ, რომელთა ასაკი იყო 15-დან 17 წლამდე. თვითშეფასების კვლევა მოხდა ბავშვების აკადემიურ მიღწევებთან და მათი მშობლების ქორწინების სტატუსთან მიმართებაში. ჰიპოთეზა ვარაუდობდა, რომ არსებობს დადებითი კავშირი თვითშეფასა და აკადემიურ მიღწევასა და თვითშეფასებასა და ოჯახის სტრუქტურას შორის. თვითშეფასება გაზომილი იქნა როზენბერგის თვითშეფასების სკალით. ბავშვების აკადემიური მიღწევა შეფასებული იქნა მასწავლებლების გამოკითხვის მეშვეობით. ასევე ოჯახური სტრუქტურის შესახებ ინფორმაციის მიღებაც მასწავლებლების საშალებით მოხდა. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ქართველ მოზარდებს მთლიანობაში მაღალი თვითშეფასება აქვთ. ამასთან გოგონებთან ოდნავ უფრო მაღალია თვითშეფასება, ვიდრე ბიჭებთან. თვითშეფასებასა და აკადემიურ მიღწევას შორის აღმოჩნდა დადებითი კორელაცია. თვითშეფასებასა და მოზარდის ოჯახის სტრუქტურას შორის კორელაცია არ დაფიქსირდა.